ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N47

2018 წლის 23 მარტი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობოყვათში მდებარე 260.37 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 995,0 კვ.მ სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.44.01.340);

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონიძიებების გატარება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30;

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი